ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №863709

ნომერი: AR1154857

თარიღი : 14.08.2013

გაცემის თარიღი : 23.08.2013

გაცნობის თარიღი : 23.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 15 , ზემო ვაკის განაშენიანება (ნაკვეთი N25);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:
- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის # 796315 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 14 აგვისტოს # AR1154857 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი კვიწინაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის # 796315 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის # 796315 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, მარუხის გმირების ქუჩა #15 –ში (ნაკვ#25), შპს ,,მარუხი 2008"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 17 ივლისიდან 2014 წლის 17 ივნისის ჩათვლით.

მოქალაქე გიორგი კვიწინაშვილის განმარტების თანახმად, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისას განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა მითითებული საპროექტო ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები. განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ახალი განმარტებითი ბარათის მიხედვით, საერთო ფართობი შეადგენს 7293.7 კვ.მ–ს, საცხოვრებელი ფართობი – 4223.1კვ.მ–ს, საზაფხულო ფართობი – 1327.0 კვ.მ–ს, დამხმარე ფართობი – 145.5 კვ.მ–ს, კიბის უჯრედისა და კორიდორების ფართობი – 562.3 კვ.მ–ს, ხოლო ავტოსადგომის ფართობი შეადგენს 1035.8 კვ.მ–ს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის # 796315 ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონმიკური მაჩვენებელი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

.მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1810.0
.განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 986.4
.საერთო ფართობი (კვ.მ).: 7293.7
.საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4223.1
.საზაფხულო ფართობი (მათ შორის: ტერასების ფართობი) (კვ.მ).: 1327.0
.დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 145.5
. კიბის უჯრედისა და კორიდორების ფართობი (კვ.მ).: 562.3
.ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1035.8
.სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 23792.2
.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 22403.2
.0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1389.0
.შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.15
.0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.35
.0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8
.კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 986.4 კ1=0.5
.კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5149 კ2=2.8
.კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 283.38 კ3=0.2

2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის # 796315 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 ივლისის # 796315 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.